დანართი №2

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს „ზარაკონი“

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ირინე ფხაკაძე

წევრები:
შორენა ხუბუნაია
მარიამ მიქაძე
იაზონ დანელია

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს „ზარაკონი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: 204 877 231

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორის ბრძ. N273; 16.04.2018 საფუძველზე, შეიქმნა პროფესიული
დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე
- თავმჯდომარე, შორენა ხუბუნაია, მარიამ მიქაძე, იაზონ დანელია-წევრები, რომელთაც
დაევალათ შპს „ბარაკონის“ პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის
შემოწმება. აღნიშნულის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში
განხორციელდა 2018 წლის 21, 22 და 23 მაისს.
ცენტრის ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებაში ვიზიტამდე გაეცნო შპს „ბარაკონის“
დოკუმენტაციაში არსებულ მასალას, რომელშიც შედიოდა საავტორიზაციო განაცხადი,
ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი
დოკუმენტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები და სხვა თანდართული
დოკუმენტები.
ვიზიტი მიმდინარეობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული
დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა
დაწესებულების ადმინისტრაციას, გასაუბრებით მიიღო ინფორმაცია დაწესებულების
ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიული გეგმისა და ადმინისტრაციის ხედვის შესახებ,
პროფესიული პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე
გადაამოწმა პროფესიულ პროგრამების განხორციელებასთან (მათ შორის მოდულურ
პროგრამებთან) დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტაცია, მატერიალურ-ტექნიკური
ბაზა და სასწავლო რესურსები, დაათვალიერა და გადაამოწმა პრაქტიკის ობიექტები, შეხვდა
პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს,
პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დააზუსტა პროფესიულ პროგრამებთან
ავტორიზაციის ქვესტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული მთელი
რიგი საკითხები, ვიზიტის დასრულებისათვის დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო
ვიზიტის პერიოდში მოკვლეული ძირითადი ინფორმაცია და მიგნებები.
რაკი დაწესებულება უკვე ფუნქციონირებდა, ექსპერტები გაეცნენ მათი რესურსების
განვითარების დინამიკას განვლილი წლების მანძილზე და შეისწავლეს სამომავლოდ
დაგეგმილი საქმიანობის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში.
პროფესიული კოლეჯი ავტორიზებულია 2013 წელს (პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №5, 26.072013), დაწესებულების
სამოქმედო გეგმების ყოველწლიურად შესრულების ამსახველი დოკუმენტაციის ანალიზით ჩანს
დღევანდელ ეტაპამდე, განვითარების გარკვეული დინამიკა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

| მდგომარეობა | სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | ფართი | მისამართების რაოდენობა და მდებარეობა |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი | 1-20 | 1-5 | 1-20 | **1-500 კვ.მ.** | **ერთ მისამართზე** |
| **არსებული** | 21-50 | **6-10** | **21-50** | 501-1500 კვ.მ. | სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში |
| | 51-150 | 11-15 | 51-100 | 1501-3000 კვ.მ. | სხვადასხვა მუნიციპალიტეტში |
| | **151-500** | 16-20 | 101-150 | 3000-5000 კვ.მ. | |
| | 501 და მეტი | 21 და მეტი | 151 და მეტია მეტი | 5001 და მეტი კვ.მ. | |

დაწესებულების მიერ შევსებული სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი შეესაბამება მოცემულ ინფორმაციას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| 1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები | | მუხლი 6 | ☐ | ■ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | მუხლი 6 / პუნქტი ა) | ☐ | ■ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | მუხლი 6 / პუნქტი ბ) | ■ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე<br>შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | მუხლი 6 / პუნქტი გ) | ☐ | ■ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | ☒ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო | მუხლი 7 / | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | პუნქტი ზ) | | |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | მუხლი 7 / პუნქტი თ) | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | მუხლი 7 / პუნქტი ი) | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | მუხლი 8 | ☐ | ■ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☐ | ■ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ■ | ☐ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

## V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

შპს „ზარაკონის" პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ დარღვეულია ავტორიზაციის პირველი და მესამე სტანდარტების სამი ქვესტანდარტით: 1.1, 1.3 (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები), 3.2. (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი) ქვესტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

**დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების/მოდულების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის ხელისშემშლელი რიგი გარემოებები:**

**1. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგია (მესამე საფეხური)**
- **დარგობრივი ინგლისური ენა** - IT Support სწავლებისთვის სასწავლო რესურსში მითითებულია მხოლოდ cisco-ს სასწავლო კურსი IT Essentials 6.0 https://www.netacad.com, რომელთანაც წვდომა არ უდასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებელს (პირადი საქმე). მას აქვს ინგლისური ენის ფილოლოგის (ბაკალავრი) და ანლისტიკის (მაგისტრატურა) აკადემიური ხარისხი. საკითხის დაზუსტების მიზნით, უკანასკნელთან გასაუბრება ვერ მოხერხდა. ცხადია, დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ის რესურსი, რაც აქვს მითითებული მოდულში, ამ შემთხვევაში დარგობრივი ინგლისური ენის სწავლების უზრუნველსაყოფად, პროფესიულ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს წვდომა IT Essentials 6.0 https://www.netacad.com, ინგლისურენოვან პროგრამასთან, რათა იხელმძღვანელოს შესაბამისი რესურსით, ასწავლოს სტუდენტებს შესაბამისი დარგობრივი ტერმინოლოგია, საბოლოოდ კი უზრუნველყოს **„დარგობრივი ინგლისური ენით"** - IT Support გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

**2. ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**
- პროგრამის სწავლის შედეგებში მოცემულია ჩანაწერი: „კურსდამთავრებულს შეუძლია ტკივილის მოხსნა და მდგომარეობის შემსუბუქება, ინექცია კუნთში", აღნიშნული გადაჭარბებულია კვალიფიკაციის შესაბამის საფეხურზე და არ შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები იფარგლება მედიკამენტების მოხმარების წესის ცოდნით, ინფორმაციით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტების შესახებ და გარეგანი მანიპულაციების ჩატარების უნარით.

**3. ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**
- პროფესიული სტუდენტის შეფასების მეთოდები ხშირ შემთხვევაში უნიფიცირებულია. გათვალისწინებული უნდა იქნეს სასწავლო კურსების სპეციფიკა, მისაღწევი სწავლის შედეგები და უფრო დაკონკრეტდეს გამომუშავებული პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმები, მაგ: ანატომიასა და ფარმაკოლოგიის საფუძვლებში, ჰიგიენასა და ავადმყოფის მოვლაში, შინაგან სნეულებანში, ახალშობილთა და ბავშვთა მოვლასა და ქირურგიული ავადმყოფის მოვლაში აქტიურობის შეფასების მიზნით: პროფესიული სტუდენტები ასრულებენ მხოლოდ პრეზენტაციას.

**4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ოფისის მენეჯერი“** (III საფეხური) სასწავლო კურსის „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“ მიზანია ინტერნეტ სერვისების გამოყენება, ხოლო სწავლის შედეგი - „ელექტრონული ფოსტით სარგებლობა“; თუმცა პროფესიული სტუდენტის აღნიშნული სერვისების ცოდნისა და გამოყენების შეფასება არ ჩანს კურსის სილაბუსში სტუდენტის შეფასების რუბრიკებში, რითაც დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით განგარიშების წესი“, რომლის თანახმად, კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ცხადია, შეფასების მეთოდი უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების შესაძლებლობას.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის შესაბამისობის გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა ხელისშემშლელი რიგი გარემოებები:**

**5. ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კურსების** „ახალშობილთა და ბავშვთა მოვლა“, „მელოგინის მოვლა“ განმახორციელებელ პირს, კვალიფიკაციით ექიმს, არ უდასტურდება კლინიკური აქტივობა, შესაბამისად, აღნიშნული კურსი ხორციელდება რა კოლეჯში, უზრუნველყოფილი ვერ იქნება პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება-სწავლება. აქედან გამომდინარე, სასწავლო კურსები „ახალშობილთა და ბავშვთა მოვლა“, „მელოგინის მოვლა“, „ქირურგიული პაციენტის მოვლა“, „ავადმყოფის მოვლა“, უნდა განახორციელოს სათანადო გამოცდილების მქონე ექთანმა შესაბამისი პროფილის განყოფილებაში (ან პრაქტიკის ობიექტზე), რათა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

უზრუნველყოფილ იქნას კვალიფიციური ცოდნის მიღებასთან ერთად, პრაქტიკული უნარების გამომუშავება.
- პროფესიულ პროგრამებში კურსებს „სამედიცინო ეთიკა და ურთიერთობის ფსიქოლოგია" განმახორციელებელი ორი პროფესიული მასწავლებლიდან ერთ-ერთს - ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრს, არ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია, აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსი მოიცავს სამედიცინო პერსონალის კოლეგებთან და პაციენტებთან ურთიერთობების განხილვას, აღნიშნული ურთიერთობების თავისებურებანი კი უნდა ისწავლებოდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ. ვინაიდან, დაწესებულებას ჰყავს აღნიშნული კვალიფიკაციის მასწავლებლები, შესაძლებელია მათთვის ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების შეთავაზება.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

**დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების/მოდულების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების მიმართულებები:**

1. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგია (მესამე საფეხური)
- მოდულების ერთ-ერთ სასწავლო რესურსად მითითებულია cisco-ს სასწავლო კრუსი IT Essentials v6.0 https://www.netacad.com. დაწესებულებას არ ჰყავს IT Essentials v6.0 სასწავლო პროგრამის სერტიფიცირებული ინსტრუქტორი და შესაბამისად არ აქვს წვდომა აღნიშნული პროგრამის სრულ ვერსიასთან. თუმცა, დაწესებულებას აქვს აღნიშნული სასწავლო მასალა ელექტრონული სახით (CD დისკზე ჩაწერილი), ქართულ ენაზე. სასურველია აღნიშნული პროგრამის მოდულების წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი გახდეს cisco-ს სერტიფიცირებული ინსტრუქტორი და cisco-ს ოფიციალური ვებ-გვერდიდან განხორციელდეს სტუდენტთა სწავლება, რაც უფრო ეფექტურს გახდის სასწავლო პროცესს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

VII. დაწესებულების მისია

შპს ბარაკონის (საზოგადოებრივი კოლეჯი) მისიაა მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან შრომის ბაზარზე. ამისათვის კოლეჯი მიაწოდებს თავის პროფესიულ სტუდენტებს საქართველოს პროფესიული განათლების მიზნებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს მათთვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნას და მისცემს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად რეალიზების საშუალებას.

სტანდარტების შეფასება

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
დაწესებულებაში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების მექანიზმი გაწერილია შპს „ბარაკონის“ წესდებით, მოდულური პროგრამების შემუშავების წესით, ბრძ. 65, 8.12.2017).

საზოგადოებრივი კოლეჯში სულ წარმოდგენილია 9 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 7 - საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და 2 მოდულური პროგრამა, შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე.

თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია: საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მოცულობა კრედიტებში შესაბამისი საათებისა და სწავლების ხანგრძლივობის მითითებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მიზნები, სწავლების ენა, დასაქმების სფერო, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების რუქა, სასწავლო გეგმა - კურსების ჩამონათვალი შესაბამისი კრედიტებით, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათებით; პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის აღწერა, პროგრამის განხორციელების სპეციფიკა და საათობრივი ბადე, სწავლების მეთოდოლოგია, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ. სასწავლო პროგრამები შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად. პროგრამები შეიცავს შეფასების მოქმედი წესით გათვალისწინებულ ზოგად სისტემას.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის სილაბუსები, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას სასწავლო კურსის მოცულობის, საათების განაწილების, სასწავლო კურსის მიზნის, დაშვების წინაპირობის, სასწავლო კურსის ფორმატის, სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლის შედეგების კომპეტენციების ჩამონათვალით, სწავლის მეთოდების, შეფასების სისტემისა და და კრიტერიუმების, სავალდებულო ლიტერატურის შესახებ.

პროგრამები შემუშავებულია დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების შესაბამისად, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ეს წესი დარღვეულია, (იხილეთ პუნქტი V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (V) და ინფორმაციის ტექნოლოგია (III), მოდულური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ №61, 25.09.2017 ბრძანებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პროგრამების ხანგრძლივობა შეესაბამება ჩარჩო-დოკუმენტებით განსაზღვრულ მოცულობას.

საგნობრივი პროგრამების: პრაქტიკოსი ექთანი (Vსაფეხური), ექთნის თანაშემწე (III საფეხური), ფარმაცევტის თანაშემწე (V საფეხური), კომპიუტერული გრაფიკოსი (III საფეხური), ოფისის მენეჯერი (III საფეხური) ხანგრძლივობა მათი მოცულობის ადეკვატურია, საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად. დაწესებულებაში ერთი პროფესიული კრედიტი შეესაბამება 25 ასტრონომიულ საათს და ერთნაირია ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

*ექსპერტთა ჯგუფის დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საგნობრივი პროგრამების განხორციელება განპირობებულია აღნიშნულ პროგრამებზე აქტიური სტატუსის მქონე 132 სტუდენტისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფით.*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ დაწესებულებებთან:

- ✓ ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი "საქართველოს კარიტასი", ხელშეკრულება შპს ბარაკონთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ✓ სს ,,ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრი, ხელშეკრულება შპს ბარაკონთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ✓ შპს ,,თბილისის ცენტრალური საავადმყოფო", ხელშეკრულება შპს ბარაკონთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ✓ შპს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, ხელშეკრულება შპს ბარაკონთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

---------------

---------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

- ✓ შპს თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფო, ხელშეკრულება შპს ბარაკონთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ✓ შპს ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი, ხელშეკრულება შპს ,,ბარაკონთან" ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ✓ აიპ საქველმოქმედო ფონდი „ჩერნოვეცკის ფონდი"
- ✓ თ. ცეცხლაძის სახელობის №2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა
- ✓ შპს ევროპის უნივერსიტეტი
- ✓ №145 ბაგა ბაღი
- ✓ ბაგა ბაღი ,,მომავალი ალბიონელი"
- ✓ შპს ,,მარმალეიდ"
- ✓ შპს ,,ჩემი ბაღი"
- ✓ შპს ჩვენი ეზო
- ✓ შპს „ავერსი გეოფარმი"

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა პრაქტიკის შემდეგი ბაზები:

- ✓ ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი "საქართველოს კარიტასი",
- ✓ სს ,,ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრი,
- ✓ თ. ცეცხლაძის სახელობის №2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა,
- ✓ ა(ა)იპ თბილისის N6 საბავშვო ბაგა - ბაღი,
- ✓ შპს ,,მარმალეიდ"
- ✓ შპს „ავერსი გეოფარმი"

აღნიშნული ობიექტების ადგილზე დათვალიერებით გადამოწმდა რეალურად არსებული გარემო და დადგინდა, რომ ნამდვილად შესაძლებელია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება. ობიექტებზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა გასაუბრება პრაქტიკის კოორდინატორებთან, რითაც გამოვლინდა უკანასკნელთა გამოცდილება ამ მიმართულებით და მზადყოფნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების/მოდულების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის ხელისშემშლელი რიგი გარემოებები:

1. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგია (მესამე საფეხური)
- დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support სწავლებისთვის სასწავლო რესურსში მითითებულია მხოლოდ cisco-ს სასწავლო კურსი IT Essentials 6.0 https://www.netacad.com, რომელთანაც წვდომა არ უდასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებელს (პირადი საქმე). მას აქვს ინგლისური ენის ფილოლოგის (ბაკალავრი) და ანლისტიკის (მაგისტრატურა) აკადემიური ხარისხი. საკითხის დაზუსტების მიზნით, უკანასკნელთან გასაუბრება ვერ მოხერხდა. ცხადია, დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ის რესურსი, რაც აქვს მითითებული მოდულში, ამ შემთხვევაში დარგობრივი ინგლისური ენის სწავლების უზრუნველსაყოფად, პროფესიულ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს წვდომა IT Essentials 6.0 https://www.netacad.com, ინგლისურენოვან პროგრამასთან, რათა იხელმძღვანელოს შესაბამისი რესურსით, ასწავლოს სტუდენტებს შესაბამისი დარგობრივი ტერმინოლოგია, საბოლოოდ კი უზრუნველყოს „დარგობრივი ინგლისური ენით" - IT Support გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

2. ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სწავლის შედეგებში მოცემულია ჩანაწერი: „კურსდამთავრებულს შეუძლია ტკივილის მოხსნა და მდგომარეობის შემსუბუქება, ინექცია კუნთში", აღნიშნული გადაჭარბებულია კვალიფიკაციის შესაბამის საფეხურზე და არ შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები იფარგლება მედიკამენტების მოხმარების წესის ცოდნით, ინფორმაციით წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტების შესახებ და გარეგანი მანიპულაციების ჩატარების უნარით.

3. ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პროფესიული სტუდენტის შეფასების მეთოდები ხშირ შემთხვევაში უნიფიცირებულია. გათვალისწინებული უნდა იქნეს სასწავლო კურსების სპეციფიკა, მისარწევი სწავლის შედეგები და უფრო დაკონკრეტდეს გამომუშავებული პრაქტიკული უნარების შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

------------------

{ქალაქი, წელი}

კრიტერიუმები, მაგ: ანატომიასა და ფარმაკოლოგიის საფუძვლებში, ჰიგიენასა და ავადმყოფის მოვლაში, შინაგან სნეულებანში, ახალშობილთა და ბავშვთა მოვლასა და ქირურგიული ავადმყოფის მოვლაში აქტიურობის შეფასების მიზნით: პროფესიული სტუდენტები ასრულებენ მხოლოდ პრეზენტაციას.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ ოფისის მენეჯერი“ (III საფეხური) სასწავლო კურსის „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“ მიზანია ინტერნეტ სერვისების გამოყენება, ხოლო სწავლის შედეგი - „ელექტრონული ფოსტით სარგებლობა“; თუმცა პროფესიული სტუდენტის აღნიშნული სერვისების ცოდნისა და გამოყენების შეფასება არ ჩანს კურსის სილაბუსში სტუდენტის შეფასების რუბრიკებში, რითაც დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“, რომლის თანახმად, კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ცხადია, შეფასების მეთოდი უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების შესაძლებლობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების/მოდულების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების მიმართულებები:

1. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგია (მესამე საფეხური) - მოდულების ერთ-ერთ სასწავლო რესურსად მითითებულია cisco-ს სასწავლო კრუსი IT Essentials v6.0 https://www.netacad.com. დაწესებულებას არ ჰყავს IT Essentials v6.0 სასწავლო პროგრამის სერტიფიცირებული ინსტრუქტორი და შესაბამისად არ აქვს წვდომა აღნიშნული პროგრამის სრულ ვერსიასთან. თუმცა, დაწესებულებას აქვს აღნიშნული სასწავლო მასალა ელექტრონული სახით (CD დისკზე ჩაწერილი), ქართულ ენაზე. სასურველია აღნიშნული პროგრამის მოდულების წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი გახდეს cisco-ს სერტიფიცირებული ინსტრუქტორი და cisco-ს ოფიციალური ვებგვერდიდან განხორციელდეს სტუდენტთა სწავლება, რაც უფრო ეფექტურს გახდის სასწავლო პროცესს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

***საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა:*** (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა).

| № | პროგრამის დასახელება | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|
| *1.* | არა | |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ მოდულური პროგრამების შემუშავების წესით, (ბრძ. 65, 8.12.2017).
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
- ✓ დაწესებულების წესდება
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“
- ✓ „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს #733 ბრძანება

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

---------------------

*(ქალაქი, წელი)*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების (კოლეჯის მისია, მიზნები, ამოცანები), ინფორმაცია სასწავლო პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ.

კატალოგში მითითებულ ორ პროფესიულ პროგრამაზე (ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება სასწავლო პროცესი არსებული ავტორიზაციის ფარგლებში, შესაბამისად, უკანასკნელი არ იქნა მითითებული დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში და წარმოდგენილი ექსპერტთა ჯგუფისათვის განსახილველ დოკუმენტაციაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2017-2018 სასწავლო წელი
- ✓ დაწესებულების ვებ.გვერდი - www. barakoni.edu.ge

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანტარტებს, გარდა ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, რომლის სწავლის შედეგები ცდება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიულ სტანტარტს (იხილეთ პუნქტი V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება)

საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.
- ✓ პროფესიული სტანდარტები, www.eqe.ge

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესები, ვიზიტის მიმდინარეობის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა შესაბამისი ბრძანებების გამოცემისა და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დადგენილ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

იქნა დაწესებულების მიერ აღნიშნული წესების განხორციელების შესაბამისობა ზემოთხსენებულ მარეგულირებელ აქტებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შინაგანაწესი (დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული №55/16.11.2017);
- ✓ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი (დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული №59/20.11.2017, ცვლილება ბრძ. №73/26.12.2017);
- ✓ „არაფორმალური განათლების აღიარების წესი" (დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული №34/01.11.2012);
- ✓ ვებგვერდით barakoni.edu.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს არსებულ თავსებად საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით. თუ კოლეჯში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, იგი ადასტურებს სწავლის პერიოდში პროფესიული სტუდენტების მიერ მიღებულ კრედიტებს ცალკეულ საგნებში და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სხვა კოლეჯში გადასვლის შეთანხმებას. ამ მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ კოლეჯებთან ცალკეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

პროფესიული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით.

ასევე, კოლეჯი არის კერძო კოლეჯების ასოციაციის ასოცირებული წევრი. ასოციაციის წევრ ავტორიზებულ კოლეჯებს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით.

ამასთანავე, კოლეჯს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მექანიზმი სსსმ პირებისთვის; სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის და პროფესიული სტუდენტის მობილობის შემთხვევებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საზოგადოებრივი კოლეჯი შპს „პანაცეა"-სთან გაფორმებული მემორანდუმი მასაჟისტის მესამე საფეხურის, კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის, ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის, პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან/და გაუქმებისას პროფესიული სტუდენტებისათვის მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების უზრუნველყოფის შესახებ (23.04.2013)
- ✓ საზოგადოებრივი კოლეჯი შპს „გეორგია"-სთან გაფორმებული მემორანდუმი ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან/და გაუქმებისას პროფესიული სტუდენტებისათვის მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების უზრუნველყოფის შესახებ (01.03.2013)
- ✓ შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯთან" გაფორმებული მემორანდუმი სამედიცინო მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან/და გაუქმებისას პროფესიული სტუდენტებისათვის მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების უზრუნველყოფის შესახებ (02.05.2018)
- ✓ თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯებს შორის (28.06.2013)

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში ხარისხის მართვის სამსახური მუშაობს კოლეჯის დირექტორის №62/27.11.2017 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით". სამსახური მუშაობისას მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასების სისტემით". ყოველწლიურად ტარდება გამოკითხვები და მათი ანალიზი. ბოლო საანგარიშო წლის კვლევის შედეგები ძირითადად დადებითია, შესაბამისად ამ არგუმენტით პროგრამებში ცვლილებების შეტანა არ განხორციელებულა. შეფასების ანგარიშები განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.
ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგისა და მხარდაჭერისათვის, დაწესებულებაში შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მოქმედებს კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდა მონიტორინგის ჯგუფის გეგმით, რის მიხედვითაც ჯგუფი მუშაობს შემდეგი მიმართულებით: პროგრამის თავსებადობა ჩარჩო დოკუმენტებთან (სასწავლო გეგმა, კალენდარული გეგმა, საათების განაწილება, მოდულების შინაარსი, სწავლების მეთოდები), სტუდენტთა შეფასება (შეფასების ინსტრუმენტების შეფასება, შიდა ვალიდაცია, შეფასების პროცესი, მტკიცებულებათა მოპოვება, შედეგების გაფორმება), საგანმანათლებლო რესურსები (ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა), მატერიალური რესურსი (სასწავლო გარემოს ადეკვატურობა, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა, მასალების და ნედლეულის მიწოდების უზრუნველყოფის მექანიზმები და ფაქტობრივი უზრუნველყოფა), პროფესიული მასწავლებელი (კომპეტენტურობა - განათლება/დარგი/მოდულური სწავლების მიდგომით), გარე ფქტორების ზეგავლენა (საკანონმდებლო რეგულირების დონე, შიდა რეგულირება, დაფინანსება და სხვა).
ჯგუფის მუშაობა ფორმდება სხდომის აქტებით. ჯგუფის თავის მუშაობაში ასევე იყენებს კითხვარებს და შეფასების ფურცლებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

- ✓ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ №62/27.11.2017
- ✓ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასების სისტემა (ბრძ. №09/23.01.2018);
- ✓ გამოკითხვის შედეგები;
- ✓ გამოკითხვის შედეგები ატვირთული ვებგვერდზე;
- ✓ შიდა მონიტორინგის ჯგუფის დამტკიცება ბრძანებით №2512 / 21.04.2016;
- ✓ შიდა მონიტორინგის ჯგუფის გეგმა დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №25/21.06.2017.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების მიზნების რეალიზაციისთვის კოლეჯი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 486 კვ.მ. ფართს თბილისში, ბუდაპეშტის ქ. 1ბ-ში, რაც სავსებით საკმარისია პროფესიული პროგრამების განხორციელების მატერიალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - №[redacted]

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

| | | |
|---|---|---|
| | თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ბუდაპეშტის ქ.) 1ბ, სართული III | 485.9 |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ იჯარის ხელშეკრულება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ზ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;
**კოლეჯს გააჩნია:**
**მოდულური პროგრამისთვის** ზაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (Vსაფეხური)

**A- გარემო – აუდიტორია 302 -** 41,9 კვ.მ, მასში განთავსებულია სტუდენტის 9 ორადგილიანი მაგიდა, 20 სკამი, მასწავლებლის მაგიდა-1, სკამი-1, დაფა-1, მასწავლებლის კომპიუტერი -1, ასლგადამღები/სკანერი/პრინტერი -1.
**B გარემო– აუდიტორია 310** – 41კვ.მ, მასში განთავსებულია სტუდენტის 18 ერთადგილიანი მაგიდა, 18 სკამი, მასწავლებლის მაგიდა -1, სკამი -1, მასწავლებლის კომპიუტერი - 1, ასლგადამღები/სკანერი/პრინტერი -1, პროექტორი -1, სტუდენტის 18პერსონალური კომპიუტერი, ფლეშმეხსიერება -1 (მოცულობა 16 მგბ).

**მოდულური პროგრამისთვის** ინფორმაციის ტექნოლოგია (III საფეხური)
**A- გარემო –310 აუდიტორია - 41** კვ.მ, მასში განთავსებულია სტუდენტის 18 ერთადგილიანი მაგიდა, 18 სკამი, მასწავლებლის მაგიდა-1, სკამი-1, მასწავლებლის კომპიუტერი -1, ასლგადამღები/სკანერი/პრინტერი -1, ფლეშმეხსიერება -1.
**B გარემო– 310 აუდიტორია** – 41 კვ.მ, მასში განთავსებულია სტუდენტის 18 ერთადგილიანი მაგიდა, 18 სკამი, მასწავლებლის მაგიდა -1, სკამი -1, მასწავლებლის კომპიუტერი - 1,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ასლგადამღები/სკანერი/პრინტერი -1, პროექტორი -1, სტუდენტის 18პერსონალური კომპიუტერი, ფლეშმეხსიერება -1 (მოცულობა 16მგბ).

**კომპიუტერული კლასი** (41 კვ.მ– სადაც განთავსებულია 18 ერთადგილიანი მაგიდა, 18 სკამი, 18 პერსონალური კომპიუტერი სტუდენტისთვის, მასწავლებლის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, დაფა), ფლეშმეხსიერება -1 (მოცულობა 16მგბ).

კოლეჯის შენობაში არსებობს ასევე ადმინისტრაციული სამსახურების, სასწავლო პროცესის მართვისა და პროფესიული მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სათანადოდ აღჭურვილი ოთახები.

**საგნობრივი პროფესიული პროგრამებისათვის** სათანადოდ არის აღჭურვილი აუდიტორიები: 301, 302, 303, 305, 308, 311 და კომპიუტერული ლაბორატორიები 30 კომპიუტერით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ფართზე განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები, 2 კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახი. სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, მერხებით, სკამებით, დაფებით, კომპიუტერებით, კომბაინით (სკანერი, პრინტერი, ქსეროქსი), პროექტორებით, მონიტორებით, ანატომიური მულაჟებით და თვალსაჩინოებებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ შესყიდვის აქტებით;
- ✓ ინვენტარიზაციის აქტით;

შეფასება:

▣ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის პერიფერიული მოწყობილობები (ელექტროღუმელები). სველი წერტილები უზრუნველყოფს სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვას და ისინი არსებობს ცალ-ცალკე ქალებისა და მამაკაცებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ შესყიდვის აქტებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) და მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. საზოგადოებრივი კოლეჯის ზარაკონი დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი 638 ერთეულია. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც წიგნადი, ისე ელექტრონული რესურსები. ელექტრონული ფორმით არსებული რესურსი ჩაწერილია ელექტრონულ მატარებელზე (CD-DVD), რომელიც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

აღრიცხული და დაცულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N71/, 18.12.2017წ. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველო დარბაზის შესასვლელში, თვალსაჩინო ადგილას. საბიბლიოთეკო სივრცეში, სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, პრინტერით, ქსეროქსით და სკანერის აპარატით. ვიზიტის მიმდინარეობისას გამოვლინდა აღნიშნულ სერვისების ხელმისაწვდომობა და დადასტურდა სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკის მომსახურეობით სარგებლობის ფაქტები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით
- ✓ შესყიდვის აქტებით;
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით (დამტკიცებული დირექტორის ბრძ. №71/18.12.2017)
- ✓ შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. დაწესებულება აწარმოებს „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს", უკანასკნელის გადამოწმების შედეგად ნათელი გახდა, მასში შეტანილია ინფორმაცია დაწესებულების პროფესიული პროგრამების, პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ.

კოლეჯის მფლობელობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა გადანაწილებულია სამსახურებს შორის. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს ევალება ტრენინგების ორგანიზება და სახელმძღვანელო-საცნობარო მასალების მოპოვება-მომზადება კოლეჯის თანამშრომელთათვის თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების ათვისების მიზნით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

------------------

*(ქალაქი, წელი)*

არსებობს დაწესებულების დირექტორის ბრძანება კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების დამტკიცების შესახებ.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი და კომბაინი (პრინტერი - ქსეროქსი - სკანერი), რომლის გამოყენებაც შეუძლიათ თანამშრომლებსა და სტუდენტებს საჭიროებისამებრ. კოლეჯს აქვს 37 პერსონალური კომპიუტერი, 3 ნოუთბუქი, 3 პროექტორი, 3 მონიტორი და 5 პრინტერი - ქსეროქსი - სკანერი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ დირექტორის ბრძანება კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების დამტკიცების შესახებ, № 03, 16.01.2018
- ✓ ვებ გვერდით: www.barakoni.edu.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საზოგადოებრივი კოლეჯში შპს „ბარაკონი" გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (№8/2011, ცვლილება - №67/11.12.2017) დამტკიცებული საქმის წარმოების წესით. შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს კორესპოდენციის სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც აკინძული, ზონარგაყრილი და დანომრილია. გამოცემული აქტები ასევე რეგისტრირდება შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალებში, რომლებიც დამუშავებულია საქმისწარმოების წესის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საქმისწარმოების წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძ. №8/24.03.2011, ცვლილება დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №67/11.12.2017);
- ✓ ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- ✓ შემოსული და გაცემული კორესპოდენციების რეგისტრაციის ჟურნალი;
- ✓ შემოსული განცხადებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- ✓ გაცემული ცნობების რეგისტრაციის ჟურნალი.
- ✓ „მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების" რეგისტრაციის ჟურნალი
- ✓ საზოგადოებრივი კოლეჯის შპს „ბარაკონი" „პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების" რეგისტრაციის ჟურნალი

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების მექანიზნები უზრუნველყოფილია შინაგანაწესით, რომლის თანახმადაც კოლეჯში დადგენილია შრომის დაცვის, სამედიცინო დახმარების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები. კოლეჯში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესი, ევაკუაციის გეგმა, რომლებიც განსაზღვრავენ და არეგულირებენ პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*[ქალაქი, წელი]*

*დანართი №2*

კოლეჯის შინაგანაწესით უზრუნველყოფილია შრომის და სწავლის პროცესში წესრიგის დაცვის მექანიზმები. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას ემსახურება წესრიგის დაცვის ჯგუფი, რომლის წევრები არიან კოლეჯის კოორდინატორი და დასუფთავების სპეციალისტი.
შენობა უზრუნველყოფილია ცეცხლის ჩამქრობი საშუალებებით. დერეფანში, ორ ადგილზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც შემუშავებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ და მის მიხედვით მოხდება შენობის დაცლა.
კოლეჯში მოქმედებს „წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესი", რომლის თანახმადაც კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების კუთხე, რომელსაც ხელმძღვანელობს კოორდინატორი. კოორდინატორი ვალდებულია გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებსა და თანამშრომლებს, აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახოს სასწრაფო დახმარება. გამოყოფილია მინი მაგიდა-კარადა, სავალდებულო მედიკამენტებისა და სხვა საჭირო საშუალებებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შინაგანაწესით (დამტკიცებული დირექტორის მიერ ბრძანებით №55/16.11.2017);
- ✓ ევაკუაციის გეგმით (დამტკიცებული დირექტორის მიერ ბრძანებით №63 / 01.12.2017);
- ✓ წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესით (ბრძ. №54/09.11.2017).
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესით (დამტკიცებული დირექტორის მიერ ბრძანებით №58/17.11.2017).
- ✓ ხელშეკრულებით მომსახურების გაწევის შესახებ შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის
- ✓ მთავარ სამმართველოსთან (№51/ 25.05.2016), ევაკუაციის გეგმით (მიღება-ჩაბარების აქტი 27.05.2016);

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

29

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

------------

------------

*(ქალაქი, წელი)*

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. დამონტაჟებულია პანდუსი და ლიფტი. სსსმ პროფესიულ სტუდენტებს აქვთ წვდომა სასწავლო აუდიტორიებთან, ლაბორატორიებთან, ადმინისტრაციასა და ბიბლიოთეკასთან. ადაპტირებულია სველი წერტილი ცალ-ცალკე მამაკაცებისა და ქალებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს „ბარაკონის" ვებგვერდი - www.barakoni.edu.ge, ასრულებს როგორც საინფორმაციო, ისე საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებგვერდი იძლევა შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობას. ვებ გვერდზე გათვასებულია დაწესებულების, სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალის, ხარისხის მექანიზმების, დაწესებულების მუშაობისა და სხვათა შესახებ ინფორმაცია. განთავსებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, შესრულებული სამუშაოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ანგარიშები, დაწესებულების მარეგულირებელი აქტები და სხვა. მიმდინარეობს ვებ გვერდის პერიოდული განახლება. ბოლო სიახლე განთავსებულია 2018 წლის 5 მაისს. ინტერნეტ გვერდის საჯარო ხელმისაწვდომობის მიზნით, დაწესებულების მიერ შპს „მაგთიკომთან" 2018 წლის 26 აპრილს გაფორმებულია ხელშეკრულება (#6).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საზოგადოებრივი კოლეჯში შპს „ბარაკონი" ვებ გვერდი - www.barakoni.edu.ge
- ✓ შპს „მაგთიკომთან" 2018 წლის 26 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება (#6)
- ✓ ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯს მისიიდან გამომდინარე, შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომელიც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

სტრატეგიული გეგმა ეფუძნება SWOT ანალიზს და გაწერილია სტრატეგიული მიზნები, მისი შესრულების ვადები, შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება მოცემული მიზნების მიღწევის შეფასება.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შესასრულებელ აქტივობებს, შესრულების ვადებს, შემსრულებლებს, ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც ხდება მოცემული აქტივობების მიღწევის შეფასება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

- ✓ შპს ბარაკონის (საზოგადოებრივი კოლეჯი) სტრატეგიული გეგმა 2016-2021 (დამტკიცებულია დირექტორის მიერ ბრძანებით №41/21.11.2016; ბოლო ცვლილებები შესული და დამტკიცებულია დირექტორის მიერ ბრძანებით №04/16.01.2018)
- ✓ 2018 წლის სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის მიერ ბრძანებით №05/17.01.2018).
- ✓ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯს წესდებით განსაზღვრული აქვს თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები. შემუშავებული და სათანადოდ დამტკიცებულია სამსახურის დებულებები, სადაც განსაზღვრულია უკანასკნელთა სტრუქტურა, საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები, დაწესებულების შინაგანაწესით დამტკიცებულია შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს პერსონალის მიღების, გათავისუფლებისა და წახალისების მექანიზმებს, განსაზღვრულია თანამშრომელთა ქცევის კოდექსი, თანამშრომელთა მოვალეობები, უფლებები და გარანტიები, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა აღნიშნული დებულებების რეალური მოქმედება.
კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შედარებულ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ წაყენებულ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონით პროფესიული განათლების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

------------

------------

*(ქალაქი, წელი)*

- ✓ შინაგანაწესით;
- ✓ შპს ბარაკონში თანამდებობის დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებით (დამტკიცებულია დირექტორის მიერ ბრძანებით №70/18.12.2017);
- ✓ კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების 41 მასწავლებლის მიერ. მათი რაოდენობა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს და საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის სტაჟი, ხოლო პრაქტიკის მასწავლებლებს პროფესიით მუშაობის სათანადო გამოცდილება და სასწავლო მიზნების შესაბამისი კვალიფიკაცია.

**თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის შესაბამისობის თვალსაზრისით ხელისშემშლელი რიგი გარემოებები:**

- **ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კურსების** „ახალშობილთა და ბავშვთა მოვლა“, „მელოგინის მოვლა“ განმახორციელებელ პირს, კვალიფიკაციით ექიმს, არ უდასტურდება კლინიკური აქტივობა, შესაბამისად, აღნიშნული კურსი ხორციელდება რა კოლეჯში, უზრუნველყოფილი ვერ იქნება პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება-სწავლება. აქედან გამომდინარე, სასწავლო კურსები „ახალშობილთა და ბავშვთა მოვლა“, „მელოგინის მოვლა“, „ქირურგიული პაციენტის მოვლა“, „ავადმყოფის მოვლა“, უნდა განახორციელოს სათანადო გამოცდილების მქონე ექთანმა შესაბამისი პროფილის განყოფილებაში (ან პრაქტიკის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ობიექტზე), რათა უზრუნველყოფილ იქნას კვალიფიციური ცოდნის მიღებასთან ერთად, პრაქტიკული უნარების გამომუშავება.

- პროფესიულ პროგრამებში კურსებს „სამედიცინო ეთიკა და ურთიერთობის ფსიქოლოგია" განმახორციელებელი ორი პროფესიული მასწავლებლიდან ერთ-ერთს - ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრს, არ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია, აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსი მოიცავს სამედიცინო პერსონალის კოლეგებთან და პაციენტებთან ურთიერთობების განხილვას, აღნიშნული ურთიერთობების თავისებურებანი კი უნდა ისწავლებოდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ. ვინაიდან, დაწესებულებას ჰყავს აღნიშნული კვალიფიკაციის მასწავლებლები, შესაძლებელია მათთვის ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების შეთავაზება.

საზოგადოებრივი კოლეჯი „ბარაკონი" გეგმავს 272 პროფესიული სტუდენტის მიღებას. დირექტორის ბრძანებით, გასაუბრების საფუძველზე, შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები და მათთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები.

ვიზიტის მომენტში დაწესებულებაში რეესტრის მონაცემებით პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაა - 142 (მათ შორის 39 პროფესიული სტუდენტი ირიცხება ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასა (მილევადი რეჟიმი) და ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე (მილევადი რეჟიმი), რომლებიც არ არის მითითებული დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში), ხოლო ავტორიზაციის მიზნებისათვის პროფესიული მასწავლებლების რაოდენობაა - 41.

ვინაიდან დაწესებულება მილევად რეჟიმში ითხოვს ორი პროგრამის - მასაჟისტი და კბილის ტექნიკოსი, განხორციელებას, ამ პროგრამებზე მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს არსებულს და შესაბამისად, განისაზღვრება - 3 და 5; აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობა კორექტირდება და განისაზღვება 258-ით, ხოლო პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა - 258/41 ანუ 6/1

**დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:**

A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა. გავითვალისწინეთ ადამიანური რესურსის (პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა 41) და მატერიალური რესურსის შესაძლებლობები, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

პროცესის ორ ცვლაში წარმართვის შემთხვევაში, 258 სტუდენტი, მათ შორის 76 პროფესიული სტუდენტი - მოდულურ პროგრამაზე, სავსებით უზრუნველყოფილი იქნება რესურსის თვალსაზრისით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ✓ თანამშრომლების პირადი საქმეებით.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფილია კოლეჯის შინაგანაწესის თავი II-ით „თანამშრომელთა სამსახურში მიღება", რომლის თანახმადაც კოლეჯში ვაკანტური თანამდებობის არსებობისას, კოლეჯის დირექტორი კონკურსის გზით, ან კონკურსის გარეშე აფორმებს შრომით ან/და მომსახურების ხელშეკრულებას ფიზიკურ პირთან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია ვადიანი ხელშეკრულებები, რომელიც ითვალისწინებს შესასრულებელი სამუშაოს, შრომის ანაზღაურების, ხელშეკრულების შეწყვეტის, და სხვა დამატებითი სახის ინფორმაციას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შინაგანაწესით;
- ✓ შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ თანამშრომელთა პირადი საქმეებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

დანართი №2

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | როფესიულ ო ანათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/სა განზრივი პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვ ანი ტუდენტებისათ ვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელებ ის მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (მოდულური) | V | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254 | 101 | 131 | ქართული | თბილისი ფანჯიკიძის (ბუდაპეშტის ქ.) 1ბ, სართული III | 10 | 40 |
| 2 | ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური) | III | მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171 | 60 | 75 | ქართული | თბილისი ფანჯიკიძის (ბუდაპეშტის ქ.) 1ბ, სართული III | 0 | 36 |
| 3 | პრაქტიკოსი ექთანი | V | პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552 | 150 | - | ქართული | თბილისი ფანჯიკიძის (ბუდაპეშტის ქ.) 1ბ, სართული III | 25 | 66 |
| 4 | მასაჟისტი (მილევადი რეჟიმი) | III | მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090651 | 60 | - | ქართული | თბილისი ფანჯიკიძის (ბუდაპეშტის ქ.) 1ბ, სართული III | 3 | 3 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ხელმოწერა, წელი)

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | ექთნის თანაშემწე | III | ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551 | 90 | - | ქართული | თბილისი ფანჯიკიძის (ბუდაპეშტის ქ.) 1ბ, სართული III | 16 | 24 |
| 6 | კბილის ტექნიკოსი (მილევადი რეჟიმი) | III | კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090251 | 60 | - | ქართული | თბილისი ფანჯიკიძის (ბუდაპეშტის ქ.) 1ბ, სართული III | 5 | 5 |
| 7 | ფარმაცევტის თანაშემწე | V | ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351 | 120 | - | ქართული | თბილისი ფანჯიკიძის (ბუდაპეშტის ქ.) 1ბ, სართული III | 24 | 40 |
| 8 | კომპიუტერული გრაფიკოსი | III | კომპიუტერული გრაფიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040152 | 60 | - | ქართული | თბილისი ფანჯიკიძის (ბუდაპეშტის ქ.) 1ბ, სართული III | 12 | 24 |
| 9 | ოფისის მენეჯერი | III | ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356 | 60 | - | ქართული | თბილისი ფანჯიკიძის (ბუდაპეშტის ქ.) 1ბ, სართული III | 8 | 20 |
| | შენიშვნა: 10 სტუდენტი - ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, (მილევადი რეჟიმი)<br>29 სტუდენტი ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მილევადი რეჟიმი) | | | | | | | | |

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

.....................

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

[გვარი, წელი]